სახალხო გაზეთი

№ 394 სამშაბათი, 6 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 394

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირუის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი“

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

სოფ. ქანჩაეთის მთავარ ანგელოზის ეკლესიის მრევლი აუწყებს განსვენებულ მოძღვრის

იოანე ნიკოლოზის ძის წულაძის

პატივის მცემელთ, რომ ხუთშაბათს, ენკენისთვის 8 სოფელ ქანჩაეთს მრევლის მიერ საყვარელი მოძღვრის მოსაგონებლად გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი. (1—1487—1)

თავ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი, მეუღლე მისი ელისაბედი ივანეს ასული შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას

თამარა მალაჭოვისას.

პანაშვიდები ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში პირველ საათზე შუადღის შემდეგ და საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. შემდეგ წირვისა ქაშვეთის ეკლესიაში. (1.801.1)

ტელეფ. 795. ახალი კლუბი ტელეფ. 795.

სამშაბათს, 3 ენკენისთვეს, 1911 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

საზამთრო თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნება, ი. პ. სარაჯიშვილის და ბროძკის მონაწილეობით

I

ევგენი ონეგინი (სცენა დუელით)

ოპ. ჩაიკოვსკისა.

II

რიგოლეტტო (4 ე მოქმედება)

ოპ. ვ. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ. ქ. გენეროზოვისა და ნიკოლაევისა და ბ.ბ. ადასოვი, ბროძკი, ი. პ. სარაჯიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი თეატრში: პარტერში 1 მ. 50 კ. 20-დე. ლოჟები—ბენუარი 3 მ., ბელეტაჟი—ანფოსი 2 მ., გვერდისა 1 მ. 50 კ. გალერეია 40 კ. 20-დე. გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან სტუმრები იხდიან კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ.

წარმოდგენის შემდეგ ლოტო და მუსიკა. (2—1432—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალი ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—133)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამე.

ამბულატორიულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბედიებაშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **ღარიბებს უფასოდ.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი, ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ტრემბიცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს, **ღარიბებს უფასოდ.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **ღარიბებს უფასოდ.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—553)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთ 6—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. 6—120)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი.

ქუთაისში
თ. მთავრიშვილისა და ამხ.

წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები: „გუთანი“, ქართული ენის სახელმძღვანელო, მესამე და მეოთხე წელს სახმარებელი—შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების: ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ; ფასი ყდით 17 შაური. „საქართველოს ისტორია“, მოკლე სახელმძღვანელო, შედგ. ს. ქვარიანის მიერ. ფასი ყდით 2 აბაზი. „ქართული გრამატიკა“, შედ. სილ. ხუნდაძის მიერ, ფასი ყდით 3 აბაზი. „პირველი დარიგება სამღვთო სჯულის სწავლებაზე, შედგ. არქიმან. ნესტორის (ყუბანეიშვილის) მიერ. ფასი ყდით 6 შაური. „ქართული წერის დედანი“, შედგ. ს. დათეშიძის მიერ. ფასი 5 შაური. „საქართველოს ქარტა“, ფასი ერთი შაური. „ქართული მოძრავი ანბანი“, ფ. 2 აბაზი

აქვე იყიდება რუსულ ენის ახალი სახელმძღვანელო მესამე და მეოთხე წელს სახმარებელი (Методическая хрестом. по русскому яз.), შედგ. ჯაფარიძისა და ზედგინიძის მიერ, ფასი ყდით 4 აბაზი; და აგრეთვე ყოველგვარი სახელმძღვანელო, რომელიც იხმარება დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. სასწავლებლებსა და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ: საკუთარ გამოცემებზე 20 პროც.; ხოლო სხვა წიგნებზე—10 პროც.—15 პროც. (ყდის ფასი ერთი შაურია). (4—1480—4)

გამოვიდა და იყიდება

ახოსპირელის

დრამატიული პოემა

შვენება და სიყვარული

გამოცემა მიხაკო ლაღიძისა.

ფასი 15 კაპ.

საწყობი ქ. შ. წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. ვინც ოცცალს ერთად იყიდის მანეთზე 20% დაეთმობა. (5—2)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მოხნე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლაბდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თერიაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელსონისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—92)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთ ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წლ.—1090—151)

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წვლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—19

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე დაბრუნდა ტფილისში. მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი ბ. მ. ღოღობერიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—25)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ფანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე. ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—20)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—100)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა.)

ექიმი მ. ი. ჩხენკელი ქუთაისში. შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—55)

დოქტორი მედიცინის

ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—15)

ექიმი მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

მლიხაბეგის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—6)

ნაფიცი ვექილი

სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

გადავიდა ვერაზე, იზმაილოვის ქ. 20. (5—1478—3)


პაპიროსი „ბულლეიდა“
ქარხანა ამხ. „ძმენი მამბეტისა“.
ქიმიური გამბით, რომლისაც ნი-
კოტინის ძალას 50% ასუსტებს.

(25—1456—10)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—50)

ტფილისი, 6 სექტემბერი

ბრძოლა სანოვაგის სიძვირის წინააღმდეგ. სწორედ იმ დროს, როდესაც საფრანგეთსა და გერმანიის შორის გაცხარებული დიპლომატიური მოლაპარაკება სწარმოებდა მაროკოს შესახებ, როდესაც მთელ განათლებულ ევროპის წინაშე ელიმართა შავი აჩრდილი საერთაშორისო ომისა, პარიზში განსაკუთრებულმა მოძრაობამ იფეთქა, გაისმა ხმა განსაკუთრებულ პროტესტისა, ამ ხმამ დისონანსი შეიტანა დიპლომატების მოლაპარაკებაში და ერთხელ კიდევ მოაგონა კაცობრიობას, რომ, დიპლომატიურ ჩხირკედელობის გარდა, არსებობს შინაგანი სოციალური ავადმყოფობა, რომელსაც განკურნება ესაჭიროება. იმ დროს, როდესაც მერკანტილურ ევროპის მოზარენი მსხვილი კაპიტალისტურ წარმოების პროდუქტების გასაღებლად ახალ ბაზრის მოპოვების საჭიროებაზე ლაპარაკობენ და ახალ ტერიტორიის დაპყრობითა სურთ მოუპოვონ გასასვლელი გზა მოჭარბებულ სიმდიდრეს, პარიზში გაისმის ხმა პროტესტისა სანოვაგის სიძვირის წინააღმდეგ. დეპეშები ყოველ დღე ახალ-ახალ ცნობებს გვაწვდიან ამ მოძრაობის შესახებ. იმართება კრებები, მანიფესტაციები, რომელნიც ხშირად პოლიციასთან შეტაკებით ბოლოვდება. ეს მოძრაობა განსაკუთრებული თვისებისაა. შეუძლებელია მისი რეგლამენტაცია ისე, როგორც ეს შრომისა და კაპიტალის შორის გამართულ ბრძოლის დროსა ხდება. შრომასა და კაპიტალს ჰყავს თავისი კონკურენტული წარმომადგენელნი, რომელნიც ბრძოლის დროს ერთმანეთს პირისპირ წარუდგებიან ხოლმე. ამიტომ აქ ბრძოლასაც სისტემატიური ხასიათი ეძლევა. სანოვაგის სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლას ასეთი ხასიათი ვერ ექნება, რადგანაც ძნელი ხდება კვალიფიკაცია ანტაგონისტურ ჯგუფებისა. მიუხედავად ამისა, იმ პროტესტებს, რომელიც პარიზში გაისმის, მაინც აქვს ის მნიშვნელობა, რომ საზოგადოებრივ აზრის ყურადღებას კვლავ მიაქცევს სოციალურ ხასიათის შემოქმედებისკენ. პარიზის მანიფესტაციები და პროტესტები ცხადჰყოფენ, რომ ევროპა მაინც და მაინც ძალიან ვერ გამოეკიდება პოლიტიკურ ავანტიურას, რომ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ შინაურ, სოციალურ გარდაქმნის პროცესს, რომელიც საბოლოოდ საზოგადოებას სოციალურ სამართლიანობის გზაზე დააყენებს. სოციალური შემოქმედება, შეცვლა საზოგადოებრივ ცხოვრების შინაგან წყობილებისა,—აი რა დაიჭერს უმთავრეს ადგილს და რა მიიპყრობს ევროპის საზოგადოებრივ აზრის გულის-ყურს..

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკი** გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი დღეს, საღამოს 10 საათზე, ტფილისში ჩამოვა. რკინის გზის სადგურზე ნამესტნიკის დასახვედრად უკვე შეემზადნენ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.

◆ **პ. ა. სტოლიპინის** დაჭრის წინა დღით პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, პრემიერ-მინისტრს სტოლიპინს კავკასიის ნამესტნიკად ნიშნავენო.

◆ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი**, რომელიც სამსახურის საქმეთა გამო ბათომს იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა გუბერნატორს მოახსენა, მე-3 და მე 4 უბნების ბოქაულებმა მაცნობეს, რომ 2 სექტემბერს მათ უბნებში ხორცის ძლიერი ნაკლებულობა ემჩნეოდა. ყასბების განცხადებით, ეს იმით აიხსნება, რომ ბოლოს დროს საქონელს არ ერეკებიან სასალახოში, რადგანაც ყასბები არ ჰყიდულობენ. ყასბები ამბობენ, გირვანქა ხორცი 12 კაპეიკად გვიჯდება, ნიხრის ძალით კი 11 კაპეიკად უნდა გავყიდოთო: 1 სექტემბერს სასაკლაოზე 119 მსხვილი და 536 სული წვრილ-ფეხა საქონელი დაკლულა, 2 სექტემბერს კი უფრო ნაკლები.

◆ გუშინ 12 საათზე საგუბერნიო სამმართველოში **სტოლიპინის სადღეგრძელოდ პარაკლისი გადაიხადეს.** პარაკლისს დაესწრნენ ტფილისის გუბერნატორი, ვიცე გუბერნატორი, პოლიცმეისტერი და სამმართველოსა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ **საქალაქო არჩევნები.** დღეს, საღამოს, კრებები ექმნებათ ქართველ ამომრჩეველთ. მესამე საარჩევნო უბნის ამომრჩეველთ კრება ექმნებათ ქალაქის საავადმყოფოს ავლაბრის განყოფილებაში, ხოლო მეშვიდე უბნელებს—ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში.

◆ **ნავთის მწარმოებელთა** თათბირზე პეტერბურგში საკითხი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ნავთის მრეწველთ მონოპოლია მიეცეთ ბაქოს სახაზინო ნავთიან ადგილების სარგებლობისა. კავკასიის ნამესტნიკისა და ფინანსთა მინისტრის წარმომადგენლებს ამ საკითხვისთვის მხარი არ დაუჭერიათ. წინააღმდეგნი ყოფილან საშუალო შეძლების მრეწველნი. საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

◆ **საულელტეხილო გზა.** მოკლე ხანში კავკასიაში ჩამოვა ინჟინერი ვურცელი საულელტეხილო გზის თაობაზე თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **ხორცის ახალი ნიხრი** ტფ. გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. ძროხის ხორცი ღირს 11 კაპ., ცხვრისა—14 კაპ.

◆ **მხატვრის კ. ქავთარაძის სურათების გამოფენაზე** „ახალ კლუბში“ უკვე [illegible] სურათი გაიყიდა.

◆ **საზოგადო კლუბი.** დღეს გაიხსნება საღამოს 8½ საათზე პროგრამა დღევანდელ საღამოისა: 1) თავ. გ. მ. თუმანიშვილი მოხსენებას

წაიკითხავს კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ და 2) საუბარი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო სათათბიროს წევრი ა. ი. შინგარიევი.

◆ **ტრამვაის ვაგონი, № 29** გუშინ, დილის 10 საათზე, ალექსანდრეს ბაღთან ფურგონს დაეჯახა და ძალზე დაამტვრია. ფურგონიდან გადმოვარდა ღვინით სავსე ბოჩკა, ისიც დაიმტვრა და ღვინო დაიქცა. ადამიანთაგან არავინ დაშავებულა ფურგონის ერთს ცხენს ფეხი მოსტყდა.

◆ **თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძემ** ქართული გიმნაზიაში მასწავლებლობას თავი დაანება.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ ქალაქის სასანიტარო კომისიამ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: 1) კვასის ქარხნების დათვალიერებამ გამოარკვია, რომ საჭიროა კვასების დასამზადებლად განსაკუთრებული სადგომები იქონიონ. 2) ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს ურჩიონ, რათა მალე წასახდენ სანოვაგისათვის განსაკუთრებული საყინულე შკაფები იქონიონ. 3) ყურადღება მიექცეს სარდაფებს, სადაც ხორაგეულს პირდაპირ ყინულზე აწყობენ და ყინულს კი არასოდეს არ ასუფთავებენ. 4) რადგან სასანიტარო წესების დარღვევის ოქმები მიზანს ვერ აღწევს,—როდესაც ჯარიმა მხოლოდ 5 მანეთია და ციხეში ჯდომას ამჯობინებენ, ჯარია გადიდდეს. 5) ქალაქის განაპირებში, სადაც არც ქვაფენილებია და არც სიბინძურის ახები—კოლლექტიური სანოვაგე ყუთები და ორმოები იქონიონ.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებას** რაჟდენ დათუმიძემ შემოსწირა გამოფენაზე ნაყიდი, ბ. ქავთარაძის ოთხი სურათი: „ებრაელი“, „კინტო“, „ბერი კაცი“ და „კმაყოფილი“ (რაჭველი ბიჭი).

წერა-კითხვის საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ძეგლისათვის ბ. ა. ს. ლორთქიფანიძისაგან 1 მანეთი მიიღო.

◆ კავკასიის საბრეშუმო სადგურმა მებაღეობისა, მეხილეობის, ბოსტნეულობისა და მევენახეობის გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში 15 დეკემბერს გაიხსნება, უკვე გაგზავნა გამოსაფენი ნიმუშები აბრეშუმის მრეწველობისა და თუთის კულტურისა.

◆ ტფილისის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, თანახმად **კავკასიის ქალაქების** წარმომადგენელთა პირველ კრების დადგენილებისა, ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა 1913 წელს ტფილისში ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრების მოწვევის თაობაზე.

სასწავლებლებში

◆ **„განათლების“ საზოგადოების ქალთა სკოლაში,** სადაც წელს მეოთხე კლასი გაიხსნა, რუსულ ენის მასწავლებლად უფროს კლასებში ქ. ნინო ჩოლოყაშვილი მიიწვიეს, დაბალ კლასებში კი ქ-ნი ანტონინა ფალავა. ქ. ჩოლოყაშვილმა ტფილისის ქალთა ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ გიმნაზიის მერვე კლასი, და ორი წელი გერმანიაში დაჰყო. ქ. ფალავამ ქუთაისის ქალთა გიმნაზია დაასრულა. წელს პირველ განყოფილებაში 60-მდე ქალი მიიღეს. მეოთხე კლასში კი ათამდეა მიღებული.

სასამართლო

◆ **გიმნაზიელ ქამაროვის** გატაცების საქმის გარჩევა 4 სექტემბერს დამთავრდა. შვიდი საათის თათბირის შემდეგ საოლქო-სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ გენერალმა დოლგინსკიმ განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც: გორდაძეს 12 წლისა და ლეჟავას 10 წლის კატორღა მიესაჯა. ქ-ნი გიგაურისა, ნიორაძე, პიპაძე, მურმანიშვილი, ლამბაშიძე, გონგაძე და ბერეტაშვილი უდანაშაულოდ სცნეს და გაამართლეს. დამნაშავეთ იცავდნენ: ბერეტაშვილს, გონგაძეს და ლამბაშიძეს სახელმწიფო დამცველი კაპიტანი ვაშჩენკო, ქ-ნ გიგაურს—ჟორდანია და ზურაბიშვილი, ლეჟავას — ბალდასაროვი, ნიორაძეს — ანდრეევი, პიპაძეს—ჯაფარიძე, მურმანიშვილს—სტავინსკი და ანდრეევი, გორდაძეს—ბარათაშვილი.

ქუთაისი

◆ **მესამე პირველდაწყებით საქალაქო სასწავლებელში** პირველ განყოფილებასთან პარალელური კლასი იხსნება ქალაქში მცხოვრები რუს ბავშვებისათვის. რადგან ჯერ-ჯერობით თითქმის არავინაა მიხოვნილი, ამიტომ ქალაქის გამგეობამ საჭიროდ დაინახა თხოვნების მიღება 15 სექტემბრამდე განაგრძოს.

◆ **ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი** ოდიშ წავიდა შავი ზღვის რკინის გზის საქმის გამო, სადაც რამდენიმე დღეს დარჩება.

◆ **კომისიამ,** რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, კ. დ. ბაქრაძე, ინჟ. მიხალოვსკი, ს. ნ. ტიმოფეევი, ი. გ. ქუთათელაძე, ყიფიანი, ჩივაძე და ჯაფარიძე, **დაათვალიერა სოლორიის ტყე,** სადაც მუხის მაგიერ საცდელად ეკლის ხე გააშენეს. ერთი ნაწილი კომისიისა იმ აზრისაა, რომ ისეთ უვარგის ნიადაგზე, როგორსაც სოლორია წარმოადგენს, ეკლის ხის გაშენება ყოვლად შეუძლებელია. ამ აზრს მიემხრნენ ტიმოფეევი, ქალაქის მოურავი და ქუთათელაძე. მეორეთა აზრით საჭიროა ნიადაგის გაუმჯობესება და ეკლის ხეც სოლორიის ტყეში იხეირებს. კ. ბაქრაძემ შეუძლებლად სცნო მუხის გაშენება და ეკლის გაშენება ამჯობინა. ტიმოფეევმა ურჩია, ვინმე სპეციალისტს დაეკითხნენ და შემდეგ ახალი კომისია მოიწვიონ.

◆ ქუთაისში დაარსდა **ამხანაგობა გურიის ნავთიან ადგილების დასაიჯარავებლად,** გამოსაკვლევად და საწარმოებლად. ამხანაგობისათვის უკვე გადაუცია ერთ მდიდარ მემამულეს ათასი დესეტინა ნავთის ნიშნებიანი მიწები და თვითონაც ამხანაგად ჩაწერილა. სანამ წესდების შემუშავება და დამტკიცება დამთავრდებოდეს, ამხანაგობის მეთაურთ საჭიროდ უცვნიათ ახლავე მიწების შეძენა და ამისათვის ამოურჩევიათ დროებითი ბიურო, რომლის მოვალეობასაც შეადგენს: წესდების შემუშავების დამტკიცება, საწევრო ფულის შეგროვება და ნავთიან მიწების იჯარით აღება.

(„კოლხ.“).

ოზურგეთი

◆ ეს ორი დღეა, ერთი მოხელის თანადასწრებით ჩამოვიდა **ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მაკაროვი.** როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, მათი მიზანია გამოიძიოს უმაღლეს მთავრობის წინაშე საჩივარი ადგილობრივ ადმინისტრაციის შესახებ. როგორც ვიცით, ეს საჩივარი გურიის ნდობა დამსახურებულმა საპატიო მოხუცმა პირებმა აღძრეს ამ ერთი თვის წინად... მთელი გურია გულის ფანცქალით მოელის გამოძიების შედეგს, რადგანაც თავის ბედ იღბალს ამაზე ამყარებს.

პროვინცია

◆ **ნიგოითი** (გურია). ამ დღეებში ადიდებულ პატარა მდინარე ფიჩორში ახალგაზრდა ნასრიას მდინარეში ცხენი წაექცა და მდინარემ შიგ ჩაითრია. მას ბიძაშვილი მიეშველა. ორივ ახალგაზრდა ადიდებულმა მდინარემ დაარჩო.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ახალ-ამბავში შეცდომით იყო მოხსენებული რომ ვ. ი. რცხილაძემ წაიკითხა მოხსენება მოტანილ გუთნის „შოტან უგგასზე“ **უნდა იყოს:** „მოხსენება წაიკითხა მოტორიან გუთანის თაობაზე“ და სხვა.

პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის დაჭრა

დეპეშები.

5 სექტემბერი.

კიევი. სტოლიპინი უფრო ცუდად ხდება. სიცხის კლებასთან მაჯის ცემა—140 ია. მდგომარეობა საშიშოა.

4 სექტემბერი.

კიევი. 4 სექტემბერი. სტოლიპინი უფრო ცუდად გახდა. ექიმების სიტყვით, საშიში არაფერია.

კიევი, ოფიციალური ბიულეტენი: ღამით სტოლიპინის მდგომარეობა უარესი შეიქმნა. ანთების ნიშნები სჩანს. დილის 6 ნახ. საათზე სიცხე 36,6 ჰქონდა, მაჯის ცემა—80, სუნთქვა 26—28; დილის 8 ნახ. საათ. სიცხე—37. მაჯის ცემა—104, სუნთქვა—24—26; 10 საათზე ჭრილობა შეუხვიეს. ჭრილობის პირი კარგ მდგომარეობაშია. ტყვია ამოუღეს. ოპერაცია ავადმყოფმა კარგად აიტანა.

კიევი. ანთება გრძელდება. სიცხე 36,6 აქვს, მაჯის ცემა—116-120, სუნთქვა—28; ავადმყოფის მდგომარეობა საშიშია.

ბერლინი. საერთო სურვილით საელჩოს ეკლესიაში სტოლიპინის სადღეგრძელოდ პარაკლისი გადაიხადეს.

ბერლინი. „ნორდ-დეიშე-ალგემეინე ცეიტუნგი“ სწერს: დასაგმობმა ბოროტმოქმედებამ, არამც თუ რუსეთში, საზღვარ-გარედაც-კი ღრმესი ზიზღი გამოიწვია. უკანასკნელ ცნობების მიხედვით უსაბუთო ბოროტმოქმედება, რომელიც უნდოდა დამნაშავეს შესაძლო თანამოქმედებით, ვერ მიაღწია საწადელს. სიამოვნებით გავიგეთ, რომ შეიძლება იმედი ვიქონიოთ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწის მორჩენისა, რომელმაც საშინელ მდგომარეობაშიც კი საქებური გმირობა გამოიჩინა. იმისი მოქმედება კიევში მის პიროვნებისადმი იმ სიმპატიას მოუმატებს, რომელიც მან სამშობლო სიყვარულით გამსჭვალულმა, აუტანელ მდგომარეობაში ყოფნის დროს სახელმწიფო მოღვაწეობაში მოხვექა. იმედი გვაქვს და მხურვალედ ვუსურვებთ, რომ სტოლიპინს ჩქარი განკურნებით ახლად მიეცეს შეძლება თავისი დაუფასებელი ძალღონე შესწიროს იმ დიდ საქმეს, რომლისთვისაც უკვე ხუთი წელია მოღვაწეობს.

ბელგრადი. სერბიის მეფემ ხელმწიფე იმპერატორს სტოლიპინის დაჭრის გამო თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა. სტოლიპინს კი დეპეშით მორჩენა უსურვა.

(გაზ. „კახბას“ დეპეშები).

კიევში მომხდარ ამბამდე, ბოგროვი სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგანიზაციის დაბარებით პეტერბურგს იყო.

ბოგროვის ბინაზე იპოვნეს საიდუმლო მიწერილობანი, რომელიც დამცველ პოლიციისაგან მიუღია.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს ცნობები ჰქონიათ, რომ ბოგროვს პოლიციის დეპარტამენტთან მიწერ-მოწერა ჰქონია.

ბოგროვი ეროვნებით—რუსია, კიევის გენერალ-გუბერნატორის იურისკონსულის შვილია.

პროფესორთა აზრით ტყვია მოშხამული არა ყოფილა.

ჰფიქრობენ, რომ მსროლელი ბოგროვი არ არის, თუმცა მისის დოკუმენტებით უსარგებლია, თეატრის ბილეთის მისაღებათაო.

„ნოვოე ვრემიას“ მოჰყავს სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატთა სიტყვები, ვითომ მსროლელი—ბოგროვი გარეგნობით „სომეხსა ჰგავსო“.

გაზეთების სიტყვით, სტოლიპინი გააფრთხილეს, მოკვლას გიპირებენო. ვითომც ფინლანდიელთა და რუს რევოლუციონერთ გადაეწყვიტოთ მისი მოკვლა. „ნოვოე ვრემია“ ირწმუნება: ფინლანდიელი და რუსი რევოლუციონერნი [illegible] შეუერთდნენ, რათა გაერთიანებულის ძალით რამდენიმე ტერორისტული აქტი მოეხდინათ.

კერძო ცნობებით, კიევში ებრაელთა აწიოკება უნდოდათო.

გამოკითხვის დროს მსროლელმა განაცხადა: დიმიტრი ბოგროვი ვარ, სტოლიპინის მოკვლა სოც.-რევოლუციონერთა კომიტეტის დადგენილებით მინდოდა. ბილეთი დამცველ პოლიციაში მომცესო.

ქალაქის საბჭოს სასწრაფო კრებამ გამოარკვია, რომ კიევის დამცველმა განყოფილებამ ექვსი ბილეთი ითხოვა. ერთი ბილეთთაგანი ბოგროვსა ჰქონდა.

ამბობენ, რომ ბოგროვი ს.-რევოლუციონერთა პარტიის წევრია. ორი წელიწადია, რაც დამცველ განყოფილებასთან კავშირი აქვს. ზოგის თქმით კი, ბოგროვი დამცველ პოლიციის უფროსთან მისულა და უთქვამს ტერორისტულ აქტს აპირებენო. ამისათვის მიუციათ თეატრის ბილეთი, რომ იქ ეჩვენებინა ამის გამზრახველი.

ბოგროვი პოლიციამ ძლივს გააგდებინა ხელიდან გაფთრებულ ხალხს. იგი ძლიერ ნაცემია, ტანი დალურჯებული აქვს, თეატრის კედელზე სისხლი ეტყობა.

ხმა დადის, სტოლიპინმა ლამე მოითხოვა ის რევოლვერი, რომლითაც ესროლეს. სურვილი შეუსრულეს. სტოლიპინმა რევოლვერი დიდხანს ათვალიერა.

საღამო ხანს „მოკავშირეთ“ მუქარის მანიფესტაცია გამართეს, ასაწიოკებლად აქეზებდნენ ხალხს. პოლიციამ გაფანტა. ორი კაცი დააპატიმრეს.

ებრაელები სწრაფად იხიზნებიან ქ. კიევიდან.

ვაი ჩვენს სირცხვილს!

„სახალხო გაზეთის“ № 384 წავიკითხე ბ. Legatus წერილი „ქართლის ჭირ-ვარამი“ და გულმა მწარედ შემომკვნესა, და უიმედო ფიქრებმა მოიცვა ჩემი არსება. მეტად მძიმეა ამ წერილში მოთხრობილ ამბის ამოკითხვა. მით უფრო მძიმეა იგი იმისათვის, ვინც მოშორებულია თვისს სამშობ-

წერილები ჩრდილოეთიდან

„ალექსანდრე I“.

დ. მერეჟკოვსკისა.

განსაკუთრებული მხატვრული სიმძლავრე და ჭეშმარიტებაა აღბეჭდილი რომანის იმ კარში, რომელშიაც ასე ცოცხლად, ასე მკაცრად არის აღნუსხული რუსეთის იმ დროის შეთქმულთა მასიური სულისკვეთება. და განა მარტო იმ მასიურ დახასიათებაშია მხატვრული სიძლიერე? აიღეთ ცალკე გმირთა დახასიათება, დააკვირდით მათ სურათებს, და დარწმუნდებით, თუ რამდენად ღრმად ჩასწვდომია მერეჟკოვსკი თავისი გმირის იდუმალ სალაროს. თვალ წინ მიდგას კახოვსკი. ყველაფერში გამორჩეული ადამიანი, არც მეგობრები ჰყავს, არც სიყვარულია მისთვის, უბრალო საცხოვრებელი კუთხეც კი არ გააჩნია. საცოდავი, უმწეო ადამიანია თითქოს, მაგრამ იგი აღგზნებულია, ვით ალი. რა არის მისი იდეა,—ეს სულ ერთია. საყურადღებო ისაა, რომ იგი ამ თავისი იდეით ითქვამს სულს, იგი ყველაფერზე მაღლა სდგას მისთვის, საკუთარ სიცოცხლეზედაც კი. და ეს ჩამომდნარი, სასაცილოდ ჩაცმული ადამიანი, მოღუშული, ვით შემოდგომის ცა, მიუკარებელი და საოცარი, მერეჟკოვსკის გმირად გამოჰყავს. ჭეშმარიტად გმირია, შეთქმულთა წრეში განსაკუთრებულის მადლით ცხებული.., მოიგონეთ ის სურათი, როდესაც კახოვსკი ფარდულში თვალს ავარჯიშებს მიმიზნებაში და ცარიელ ბოთლებს ამსხვრევს. განსაკუთრებული მოთმინება დაჟინებასთან შეზავებული ჭაბუკის სიყვარული იდეისადმი და ეს გარეგნული არარაობა გმირისა!..

გადახედეთ არაკჩეევს, ალექსანდრე I-ს, სოფიკოს... შემთხვევით არ აიხსნება ის, რომ მხატვარი ასეთის გულმოდგინებით გვერდში უყენებს მეფეს ამ ორ ადამიანს. აქაც იგივე გაორპირებაა ადამიანის სახისა. აქაც იგივე ბრძოლაა ამ ორ, სულ დამოუკიდებელ სამეფოთა შორის. ვინ გაიმარჯვებს? რა სძლევს ამ უთანასწორო ბრძოლაში? ან იქნება ადამიანი, რომელიც განიცდის ამ ბრძოლას, მსხვერპლად შეეწირება ამ ბრძოლას? ადამიანი ხომ ყოვლად შემძლე არ არის: ვინ გაიმარჯვებს?

ჯერ-ჯერობით მარტოოდენ დასაწყისია დაბეჭდილი ალექსანდრე I-ის დახასიათებისა. მაგრამ თქვენ უკვე ხედავთ, თუ რა საბედისწეროთ, რა იდუმალად შეუღლებიან ერთმანერთს სულის სასტიკი მათემატიკოსი არაკჩეევი და ნათელი, ნაზი, სიყვარულით აღსავსე ღიმილი ქალის სოფიკოსი.

ალექსანდრე მეფის ღიმილი, გამოწვეული სოფიკოს მიერ. მრისხანე ნაოჭები შუბლზე არაკჩეევისაგან.

ეს ორი არსება ადამიანისა ერთმანერთს ებრძვის მეფეში. თანასწორ ძალღონიანნი არიან ორივე არსებანი, მრისხანებას მყისვე ღიმილი სდევს, და მეფეც ყურადღებას არ აქცევს ფარულ საზოგადოების შესახებ ფარულ მოხსენებას...

არაკჩეევი ისვენებდა, როდესაც შემთხვევა ხელს უწყობდა და სრულიად გამოუსადეგარ მათემატიკურ გამოანგარიშებას ეძლეოდა. მისი ანგარიში შეეხებოდა, მაგალ., იმას, თუ რამდენი ცოცხი იქნება საჭირო წლის განმავლობაში სოფ. გრუზინოში, ან იმას, თუ რამდენი ხომა ქვა მოუნდება გრუზინოსა და ჩუდოვოს შუა გზატკეცილს. ასეთი, თითქოს, დაწვრილმანება, ასეთი დაქვეითება ადამიანის ბუნებისა, ასეთი სრულიად უშინაარსო ყოფაცხოვრება სასტიკის დესპოტის, რომლის წინაშე თრთოდა სულთ მობრძავსავით არა მარტო მისი საკუთარი სოფელი, არამედ ბევრი და ბევრი ქალაქში მცხოვრები მოაზროვნე ადამიანი,—ასეთი დაქუცმაცება, ვიმეორებ, არც საკვირველია. რაიული ბუნების პატრონი ადამიანი აქ, ამ წვრილმანებს აფარებს თავს, ემალება თავისსავე რთულ ბუნებას, თავის ფიქრებსა და დახლართულ აზროვნებას. ამ გამოანგარიშებით ცდილობს იგი დააყუჩოს მოწოლილი კაეშანი და ბოღმა. ასეთს მათემატიკურ გამოანგარიშებას უახლოვდება ალექსანდრე მეფეც, უახლოვდება იგი ასეთს მხსნელ მათემატიკას. იგი ზის თავის სამუშაო ოთახში. მრავალი აზრი უტრიალებს თავში მეფეს. ელვასავით სწრაფად, დაუკითხავად, როგორც სინემატოგრაფის ფირფიტა, მოსდევს ერთი აზრი მეორეს, მეორეს მესამე თან სდევს. მაგრამ თითქოს რაღაც უშლის მეფეს მუშაობას, რაღაც აფერხებს მის მუშაობის ნაყოფიერებას. რაშია საქმე? რამ შეაჩერა ეს მოაზროვნე მანქანა? ერთგან დაირღვა თანშეზომილება, და ეს არის მიზეზი იმისა, რომ მეფე ვეღარ ისვენებს. ბუხარზე ცალი დიდი შანდალი აკლია. და როცა მოსძებნეს ეს შანდალი, თავის ადგილას დასდგეს,—მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდდა მეფე, მხოლოდ მაშინ შეუდგა იგი მუშაობას.

ვერც არაკჩეევი შესძლებდა მუშაობას, მის მაგიდაზე რომ, მაგალ., სამელნესათვის ადგილი გამოეცვალათ.

რეფორმები? ჰო, ჰო, ძლიერ კარგი იქნება გამათრახების მოსპობა: იგი ადამიანის ღირსებას ამცირებს. ალექსანდრეს აგონდება, რომ უკვე 7 წელიწადია, რაც სახელმწიფო საბჭოს ებრძანა შოლტის მოსპობა, საკმარისია ხომ ამ ჟამად ერთი მისი სიტყვა, და შოლტის ხსენებაც კი გაჰქრება. მაგრამ როგორ, როგორ დასწეროს, როგორ წარმოსთქვას ეს სიტყვა? როგორ უნდა დაირღვეს ვიღაც უხილავის მიერ შექმნილი, დაკანონებული მათემატიკა ცხოვრებისა? ეს ხომ ისეთივე უხერხული იქნება, როგორც ცალი შანდალი იმ დროის, როდესაც იგი მუშაობს?!

„რა რიგაც გინდა ისე მოუარე,—ყველაფერი მაინც ძველებურად დარჩება“,—მოაგონდა მას არაკჩეევის სიტყვები. აზრიც დაწყნარდა, მიყუჩდა, აზრიც შთაინთქა მათემატიკურის სინამდვილით გამოზომილ დღეთა შორის: იქ არ არის მოუსვენრობა, იქ არ არის დუხჭირი ფიქრი; არ არის გამანადგურებელი, დამასუსტებელი ფიქრი...

ასეთია მეფე, როდესაც მასში ბატონობს არაკჩეევის სასტიკი, პირდაპირი, დაუნდობელი და გადამჰრელი სული. ასეთია მეფე, როდესაც მის შუბლს გადმეკვრის ღრმა, მეხის მომასწავებელი ნაოჭი, მაგრამ არის ისეთი წუთიც, როდესაც მეფეს პატარა სოფიკოს სიყვარულით აღსავსე, მოალერსე ღიმილი გადაეკვრის. ამ დროს იგი იცვლება. ეს აღარ არის სასტიკი, მრისხანე მეფე, ეს აღარ არის ცხოვრების მათემატიკით გაჟღენთილი ადამიანი. იგი იღიმება, იგი სრულიად იცვლება.

ალექსანდრე კითხულობს მოთხრობას: „მშვენიერი იულია კვნესის თავისი ლოდარის გამო; ნაზად აბიჯებს იგი ფერმიხდილი, სასოწარკვეთილი, თავ-ჩაქინდრული უდაბურ მოღუშულ ცაცხვის ბუჩქნარში, სადაც შემოდგომის ქარი მიწას გაყვითლებული ფოთლითა ჰმოსავს. შემოდგომამ იგი კაეშანით მოიცვა, შავი კაეშანით“...

ყოველივე ეს ისე წყნარია, შეუშფოთებელი, ყოველივე ეს ისე გულუბრყვილოა და უბიწო, როგორც თვით სოფიკოს ღიმილი. მეფემ დაივიწყა 11 მარტიც, პავლე მეფის სიკვდილის დღე, დაივიწყა ფარული საზოგადოებაც, რეფორმებიც, დაივიწყა სასტიკი არაკჩეევიც. ტკბილ ნანასავით იმოქმედა მეფეზედ სოფიკოს ნაზმა ღიმილმა, გაიტაცა იგი, დაავიწყა სიბოროტე, დაავიწყა სულის შემხუთველი ფიქრები და ბოღმა, დაავიწყა ცხოვრების მათემატიკა. ცოტაც კიდევ და მეფე თვითონაც გაიცინებს. ისევე, როგორც იღიმება ხოლმე სოფიკო...

ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე, რომ სავსებით არ შემიძლია გადმოგცეთ შინაარსი ამ მეტად საინტერესო რომანისა. თუ შემთხვევამ ხელი შემიწყო, ვეცდები უფრო ვრცლად შევეხო რომანის უმთავრესი გმირის დახასიათებას, სრულ დახასიათებას, როდესაც რომანი სრულიად დაიბეჭდება. ამ ჟამად ძნელია სავსებით წარმოიდგინოთ ის გაორკეცება ადამიანის ბუნებისა, რომელიც სარჩულად უდევს ნაწარმოებს, ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ რა რიგ სასტიკია ბრძოლა სულიერი ამ ორ მოპირისპირე პოლუსთა შორის.

ერთი კი უტყუარია და ამის აღნიშვნა ეხლავეც შეიძლება: ისტორიული მასალის მხატვრულად დაწყობისა, ხელოვნურად განათებასთან ერთად მერეჟკოვსკის აქ თავისებური, ახალი სტილი შეაქვს. ეს გახლავთ განსაკუთრებული ეკონომია სიტყვების ხმარებაში; მაგრამ ის კი, რაც მხატვრობას ნახმარი აქვს ნაწარმოებში, ის სიტყვები თითქოს საგანგებოდაა გამოძებნილი, ყოველი მათგანი აუცილებლად საჭიროა და საყურადღებო. ეს არის მიზეზი იმისა, რომ გამოყვანილი გმირები ქანდაკებას მოაგონებენ მკითხველს...

პ. დადეშქე.

ლოს და ფიქრი და ზრახვა კი გაწამებული სამშობლოსკენა აქვს მიპყრობილი.

„ნუ თუ იქამდისინაც მივაღწიეთ, რომ მურტალის ხელით აღარ ვინდობთ თვით ხალხის სიწმინდესს, წინაპართა ნაამაგდარ სიძველეთ"?—ეკითხები თქვენს თავს. საშინელი მერმისი აგეტუზებათ თვალწინ და ნათლად დაინახავთ იმ უფსკრულს, საითაც ჩვენი სამშობლო მიექანება.

გარეწარი და უგვანო ყველა ერში მოიპოვება. კერძოდ თავ. გიორგი ივანეს ძე წერეთელს კარგად ვიცნობ, იგი ერთი იმ გალატაკებულ თავადაზნაურთაგანია, რომელთაც თვისი ცხოვრება გაუფლანგავთ და მუშაობის უნარს მოკლებულნი, აქეთ იქით დაწრწიან. ზოგი მათგანი ბანქოს თამაშობით სცხოვრობს, ზოგი—სხვა თავადიშვილს მოურავად უდგება და ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხობას სულს ახრობს, ზოგი კი ასეთის ხელობით იძენს ლუკმას, რომელიც თავს უდვია ბ. გიორგი წერეთელს.

დიახ, ყოველივე ეს კარგად ვიცი. ვიცი ისიც, თუ როგორი ხარბის თვალით შესცქეროდნენ ჩვენს უპატრონოდ მიგდებულ დიდებულ ნაშთებს მრავალი არუთუნა კალპაკიანები და ძმანი მათნი. მაგრამ, საუბედუროდ, ისიც კარგად ვიცი, თუ რა გულგრილად ეკიდება ქართველობა თვისი ქვეყნის უწმინდესს, წინაპართა სისხლით განბანილ ნაშთებს. მიმოიხედეთ ჩვენი ქვეყანა და თქვენ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით მრავალ ნანგრევებს, რომელთა თვითეული ქვაც კი უენო მოწმეა ჩვენი ქვეყნის მრავალტანჯულ ისტორიისა, სხვა ქვეყნის შვილი მუხლს მოიდრეკდა ასეთ ნანგრევების წინაშე და უმაღლესის კრძალვით აღიჭურვებოდა წინაპართა განსაცვიფრებელ საქმეთა მიმართ, ღრმად განადიდებდა თვის გულში თვისი ერისა და სამშობლოს სიყვარულსა მოვალეობას.

ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების ნაშთი ან ფარეხად გაგვიხდია და ან სრულიად არ ვაქცევთ ყურადღებას. იგინი მაღლობ სერებზე სდგანან და, ვინ იცის, რა მხილებას გამოსთქვამენ თვის დიდებულ მდუმარებაში!

ნანგრევებს თავი დავანებოთ, წარმოიდგინეთ ის ძველი ნაშთებიც კი, რომელნიც დროთა ვითარების გამო კიდევ შერჩენიან ჩვენს ქვეყანას, ეს ნაშთებიც კი უპატრონოდ ჯერ იყო და რუსის ეგზარხოსებმა და ღვდლებმა გაზიდეს ჩვენი ეკლესიიდან უძვირფასესი ნაშთები და ეხლა კი **თვით ჩვენ დავიწყეთ მათი გაყიდვა**. ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია. თუ ასე გაგრძელდა, მთელი ჩვენი სიძველენი უცხო სახელმწიფოთა მუზეუმებში ამოჰყოფს თავს და თუ რომელიმე ქართველმა მოინდომა ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიურ ნაშთა შესწავლა, იძულებული გახდება ან ბრიტანიის მუზეუმში გაემგზავროს, ან ან სხვა რომელიმე ქვეყანაში.

მახსოვს, როდესაც „სახალხო გაზეთის" რედაქციამდე მოაღწია იმ ხმამ, რომ ვიღაც „პიჯაკიანები" დაწრწიან სოფელ-სოფელ და მცხოვრებლებს სხვა და სხვა სიძველეთა გაყიდვას ურჩევენო, მან გააფრთხილა ქართველი საზოგადოება, ასეთ გარეწართა სიყალბეში, მაგრამ როგორც სჩანს, ვერც ამას უმოქმედია

როგორც Legatus-ი სწერს, მას ერთი ცხინვალელი სომეხი ვაჭარი შეჰხვედრია, რომელსაც ტომარაში სხვა და სხვა არქეოლოგიური ნაშთები ეწყო თურმე. ამაზე მეტი დამცირება კიდევ შეუძლებელია! ვინ იცის, რა ჩალის ფასად ჩაიგდო ხსენებულმა ვაჭარმა ყოველივე ეს!

დრო არის, თვალი გავახილოთ, დრო არის მოვუპატრონოთ დარჩენილ სიძველეთ მაინც! ან კი როგორ შეიძლება, სხვა ერის წარმომადგენელი პატივით მოეპყროს ჩვენს სიძველეთ, როდესაც ჩვენვე ფეხით ვსთელავთ. განათლებულ ერებისაგან მაინც ვისწავლოთ სიძველეთა პატივისცემა; მათგან მაინც გადმოვიღოთ ის მოკრძალება. რომელსაც თვითეული მათგანი განიცდის თვისი ქვეყნის სიწმინდეთა წინაშე. ვისწავლოთ თვისი თავის პატივისცემა, თორემ ისე არავინ დაგვაფასებს. განათლებულ ევროპის შვილი თვის ქვეყნის სიწმინდის შეურაცყოფას არავის შეაწევს; იგი მუდამ წამს დარაჯია თვისი ქვეყნის არქეოლოგიური ნაშთისა.

მივხედოთ ჩვენს სიძველ სანამ ჯერ კიდევ დროა, თორემ გვიან იქნება.

ქ. ხარკოვი. **ალ. წერეთელი**

უცხოეთი

სიძვირესთან ბრძოლა.

პარიზი. სანოვაგის სიძვირის წინააღმდეგ მოძრაობა ძლიერდება.

მუშათა უბნებში სოციალისტთა საკოოპერაციო დუქანი გაცხარებული მუშაობს. ესენი სცდილობენ ხელმისაწვდომი ფასი დაამკვიდრონ. მყიდველთა რიცხვი ისე დიდია, რომ კარებში რიგ-რიგობით უშვებენ.

პარიზი. პარიზის ბაზრებს ჯარი იცავს, რადგან საერთო კონფერაციამ მოწოდება გამოსცა, რომლითაც მცხოვრებთ სანოვაგის სიძვირის საპროტესტოდ იწვევს.

პარიზი. ბრესტსა, შერბურგსა და ლორიანში მომხმარებელთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა იმ ვაჭართ, რომელნიც სანოვაგეს მისგან გადაწყვეტილ ფასად არა ჰყიდიან.

ბრიუსელი. მრავალ რიცხოვან კრებაზე მოწონებული იქმნა სიძვირესთან საბრძოლველი პროგრამა, რომელიც მუშათა პარტიამ გამოაცხადა. კრება დემონსტრაციით და პოლიციასთან შეტაკებით გათავდა.

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 10 ენკენისთვემდე
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-3 წიგნზე
„ნააზრევი"

ხელის მოწერით ეღირება 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გაგზავნა ხარჯად 10 კ.

მინაარსი: წინასიტყვაობა. ხელოვნება: 1. ურწმუნო მწერლები, 2. სიტყვა, გაზეთური მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექსების გამო). 4. ნავთსაყუდლის ძებნაში, 5. ქართულ მუსიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. რელიგია-ფილოსოფია: 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი), 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია, მგოსნები), 3. ქალის ხვედრი, 4. წერილები იტრიის წისქვილიდან („იმა ქვეყანათა ხელშეხება") ეს უკანასკნელი, ახალი წერილია. დამატება: რამდენიმე წერილი ხელოვნების შესახებ 1901—1902 წლ. „ცნობის ფურცელ"—„მოამბიდან": 1, ქართული თეატრი; 2, თეატრი და ხელოვნება; 3, ხელოვნების გამარჯვება; 4, ქართული ხელოვნება გამოფენაზე, 5, კ. ბ. გაბაშვილის მხატვრობის გამო; 6, „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი!"

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთის" რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში: ირ. ავალიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. ხორავასთან; გორში: სოლ. კიკნაძესთან; თელავში: ი. პაატაშვილთან. (0—12)

ყასბებმა გაფიცვა შესწყვიტეს. ბაზრებს ჟანდარმერია იცავს.

სოციალ-დემოკრატთა პარტეიტაგი.

ბერლინი. პარტეიტაგმა ცხარე გადაწყვეტილება მიიღო პანგერმანისტთა აგიტაციის წინააღმდეგ, რომელნიც ომსა ჰქადაგობენ. აგრეთვე გადაწყვიტეს, ღონე იხმარონ და ძმათა შორის სისხლის ღვრას ხელი შეუშალონ.

ჰკითხულობენ პარტიის მოქმედების ანგარიშს. მოლაპარაკენი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ მთავარ კომიტეტის მოქმედებას, რადგან მან ვერ შესძლო ენერგიით ბრძოლა ომის მომხრეებთან და ვერც ხალხს აუხსნა მაროკოს ავანტიურის ნამდვილი მიზეზი. კომიტეტი თავს იცავს.

ბებელი როზა ლუქსემბურგს უსაყვედურებს, საერთაშორისო სოციალისტთა ბიუროს საიდუმლო ცნობები მაროკოს საკითხის შესახებ რად გამოაქვეყნეო. ლუქსემბურგის მომხრენი ბებელს, თავის მხრივ, უმოქმედობასა და მთავარ კომიტეტის ბრმად მორჩილებას უკიჟინებენ.

გაცხარებული კამათია. რევიზიონისტები სცდილობენ ბრძოლას ძალა დაუკარგონ, რადგან შინაური ბრძოლა მომავალ არჩევნებზე ცუდად იმოქმედებსო,

ჟიოკონდის ბედი.

პარიზი. საინტერესოა საკატორღო ციხის უფროსის ჩვენება, რომელიც ამბობს, ახალ გვინეის ციხიდან ერთი გამოჩენილი ბოროტმოქმედი ანტუან რივი გამოიქცაო.

ანტუან რივი განათლებულია, რამდენიმე ენა იცის და ხშირად პარიზშიაც იმალებოდაო. ლუვრშიაც მსახურობდა და ხშირად ღამესაც ათევდაო. რივი რამდენიმეჯერ ამერიკაშიაც ყოფილა და საეკლესიო სიძველეთა მოტაცებაშიაც მიუღია მონაწილეობაო.

ჰფიქრობენ, რომ კოსტროვიცკის საიდუმლო მდივანი, რივიაო.

ლონდონი. „დეილი ტელეგრ". კორესპონდენტი საფრანგეთის გულგატეხილობას აღნიშნავს, მაგრამ მოლაპარაკების მშვიდობიანად გათავების იმედი დიდი აქვს. გერმანია თავის მოთხოვნილებას დაუკლებს, ზოგისაც უარს იტყვის, და ამნაირად ზავი მაინც ჩამოვარდება, რომელიც, ეხლანდელს განხეთქილებას მაინ ემჯობინებაო.

პარიზი. დიდი გულისყური მიიპყრო განთქმულ პუბლიცისტ ანრი როშფორის რჩევამ. იგი ამბობს, საფრანგეთმა მაროკო უნდა მიატოვოს, თუ „ხაფანგში გაბმა" არ უნდაო.

რომი. ეტნის ახლო-მახლო მიწის ძვრა იყო. მოსალოდნელია ცეცხლის მფრქვევმა მთამ ძლიერად ამოხეთქოს. ხალხი შიშმა აიტანა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ.

მელილია. ესპანიის სამხედრო გემებმა ზარბაზანი დაუშინეს ქალაქ დუარის.

ხარაგოსა. საქალაქო და სახაზინო ქარხნებსა და სახელოსნოებში მუშაობა შესწყვეტილია.

ტოკიო. პრესა საშინლად სთვლის იმ გარემოებას, რომ მანჯურიის ჩინელნი ჩინეთის პრესის ზედგავლენით იაპონელებს მტრულად უცქერიან.

ვენა. სოციალ დემოკრატებმა, რიცხვით 100,000 კაცამდე, დიდი დემონსტრაცია მოახდინეს სურსათ-სანოვაგის გაძვირების გამო. დემონსტრანტებმა ჯოხებით და ქვებით ადმინისტრატიულ სასამართლოს შენობის ფანჯრები ჩაამტვრიეს. ფანჯრები ჩაამტვრიეს აგრეთვე ორს ყავახანასა და რესტორანში. ბევრგან კერძო სახლები და საზოგადო სახლები აიკლეს. დემონსტრანტებს შეტაკება მოუხდა ბოსნიის ქვეითა ჯართან. პირველთაგან დაჭრილ იქმნა 47, დაჭერილ იქმნა—110 კაცი. უწესობამ საღამომდე გასტანა. ოტტაკრინგის უბანში მოკლულ იქმნა ორი დემონსტრანტი.

სედანი. სურსათ-სანოვაგის გაძვირების გამო მუშები გაიფიცნენ, რომელთაგანაც ჯართან შეტაკების დროს სამი დაჭრილ იქმნა, ხოლო 12 მოკლულ იქმნა.

სირაკუზი (ნიუიორკის შტატი). გუშინ ავტომობილების შეჯიბრების დროს ავტომობილი მაყურებლებს დაეტაკა. 6 კაცი მოკვდა, 12 დაიჭრა.

ბრიუსელი. პერსში, მეხელინას მახლობლად, მატარებელთა დაჯახების დროს 20 კაცი მოკვდა.

პეკინი. სიჩუანის აჯანყებულ ჯარის უფროსმა თავი მოიკლა.

რუსეთი.

კიევი. მეფემ კიევის გუბერნიის დაბა მაქაროვკაში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 2500 მან. შესწირა. მესამე საათზე მეფეს პოდოლიის საზოგადო მოღვაწეთა დეპუტაცია წარუდგა, რომელთაც თავის ხარჯით მემკვიდრის სახელობის პედაგოგიური მუზეუმი ააშენეს. დეპუტაციამ იმპერატორს პურ-მარილი, მუზეუმის გერბიანი მოდელი და მუზეუმის სურათების ალბომი მიართვა. აუდიენციას მემკვიდრეც დაესწრო.

ბაქო. ქუჩებში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. პოლიციელების განკარგულებას ხალხი არ დაემორჩილა და არ დაიშალა. ჯარი გამოიწვიეს. ჯარის მოსვლამდე ქუჩები დაცარიელდა.

ჩვენი კოოპერაცია

(პასუხის პასუხი ბ. ლ. ჩიმაკაძეს).

მაშ ასე, მკითხველი ხედავს, რომ კოოპერაცია თავის გზას ასცდენია. მისი მიზანი იყო: წევრებისათვის საქონლის რაც შეიძლება იაფად მიწოდება და წვრილ მოვაჭრეთაგან დახსნა. აქ კი ვერც ერთს ვხედავთ და ვერც მეორეს. განა ეს დუქნის თავდალმა დაქანება არაა ბ. ჩიმაკაძევ?

მესამე და უდიდესი ძაღლის თავი პარკის საშრობ ფარდულთან მარხია. ჩვენ ვსწერდით, რომ ხალხის დაუკითხავად ქირაობს გამგეობა თავისივე თავიდან ფარდულსა მეთქი. ბ. ჩიმაკაძე კი ამბობს: „ყოველ წლიურ კრებაზეა ამაზე ლაპარაკი და ყველასა სთხოვს გამგეობა დაეხმაროს ამაშიო". კვლავ გიმტკიცებთ ბ. ჩიმაკაძევ, რომ ფარდულის ქირაობისას არა თუ ხალხს სარევიზიო კომისიის წევრებსაც არ ეკითხება გამგეობა, რომლის თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით და რომელთან ერთად ყოველ წლივ თქვენც პარკს ვაჭრობთ. წელს, მაგ., სარევიზიო კომისიის წევრები ხალხში კითხულობდნენ—ნეტავი ვინ იქირავა წელს ფარდულიო, გამგეობას კი ამ დროს გახურებული ვაჭრობა ჰქონდა პარკისა. მერმე ქირას რას აძლევთ? რაც მოგესურვებათ, ას მანეთზე მეტი კი არასოდეს არ მიგიციათ. ხოლო ერთ წელს, როცა თათარმა 450 მ. იქირავა, მოგებული მაინც თქვენ დარჩით, ვინაიდან ფარდულის ბრიზენტების ქირით, რომელიც გამგეობის რამოდენიმე წევრს გეკუთნოდათ, 300 მან. წაიღეთ, ფარდულში კი 150 მიეცით. ფარდულის აგება დაჯდა 900 მან., ბრიზენტები ღირდა 300 მ., პირველს,—რომელიც ხალხისა იყო,—150 მანეთი მიეცით, მეორეს კი რომელიც თქვენი იყო, 300 მ. მიართვით ქირად. აი რას ნიშნავს თქვენებურათ „გაქირავება" ბ. ლავრენტი. მკითხველი ალბათ ფიქრობს: ამ ხალხმა თუ კოოპერაციის სახელით ფარდული ააგო, ბრიზენტები რათ არ უყიდიაო? მეც ამას ვკითხულობ, ჩემო მკითხველო, რა ღონის ძიებით სცდილობს გამგეობა, რომ ფარდული გაქირავდეს თუ არა მუშტრებს, დაგვისახელოს ვის მიმართა. მათხოჯის მხარიდან ძალიან ბევრი და მასთან საუკეთესო ღირსების პარკი ჩამოდის (მაგ., სოფ. გობი, კინხბა, სომგრელო) და ნუ თუ არავინ მაინც არ მოინდომებდა აქ ფარდულის ქირაობას?

ჩვენ კი ფარდულის შესახებ თავი და თავი კიდევ არ გვითქვამს. თუ ბ. ჩიმაკაძეს დაუჯერებთ, დუქანს შეძლება არა ჰქონია, რომ პარკი იყიდოს და გამგეობა თუ თვითონ ვაჭრობს პარკს, ეს იმისთვის, რომ დუქნის ვაჭრობა გაადიდოს. ბ. ლავრენტი ჩიმაკაძევ, წელს, როცა გამგეობის წევრს ი. მელაძეს ხალხი სცვლიდა, თქვენ განაცხადეთ: მაგის გამოცვლა შეუძლებელია, ვინაიდან მის სახელზე 5 ათასი მანეთის სესხი გვიხსნა ერთმა ბანკმაო. ვთქვათ ეს მართალია; ერთი გვიბძანეთ, რას მოუნდა ამდენი ფული, რომელიც თითქმის მთელი დუქნის წლიურ ალებმიცემობის ნახევარს უდრის? დაიაჯერებელია, რომ კერძო პირს ფულის სესხებისას კოოპერაციაზე უფრო ენდობიანო? მართალია, ერთი წევრი მარტო წლის ფულით არის პასუხისმგებელი, მაგრამ ყველა წევრების წლის ფულის ჯამი ცოტას შეადგენს? ცხადია, რომ გამგეობას უფრო ენდობიან, ვიდრე კერძო პირს. გამგეობა უმეტეს შემთხვევაში პარკის ყიდვის დაწყებისას პარკს ნისიათ იღებს, შემდეგ კი ნაყიდ საქონელს აგირავებთ და ასე გამოტანილ ფულით ისტუმრებთ ხალხს. გეკითხებით, ამგვარი გადაგირავება თქვენ თუ შესძელით, რატომ დუქანი ვერ მოახერხებდა? პარკი უდიდესი სავაჭრო დარგია ჩვენში, რასაკვირველია, მოგებაც იძლევა, მაგრამ საქმე აგრე უკუღმაა აქ დაყენებული.

პარკის ყიდვისას სასწორზე საზოგადოებისაგან არჩეული პირი გვიდგას, ბრძანებს ბ. ჩიმაკაძე. რომელი საზოგადო პირი? სწორ პასუხს თქვენგან არ მოველით და ჩვენ ვმარტავთ რაშია საქმე: ხონში პარკობის დროს პარკის მწონავი კომისიაა, ამ კომისიამ წელს ერთობ გვიან მათხოჯშიაც მიანდო ორ კაცს სასწორის ყურის გდება. მოხდა გვიან, მანამდე კი წონა უკანტროლოდ სწარმოებდა. როგორ მოიქცა კანტროლიორობის დანიშვნის შემდეგ პარკის მოვაჭრე გამგეობა? ყოველ ღონეს ეცადა პარკის ფასი დაეწია და მიზანს კიდეც აღწევდა. ისიც უნდა გითხრათ, ბ. მკითხველო, რომ აქ პარკი ყოველთვის ხონის მაზანდაზე ნაკლებად იყიდება. პარკის უმეტესობა როგორ სასწორზე აიწონა, ბ. ლავრენტი? უვარგისზე, რომელმაც ბ ვანო ბარისოვს კარგა ბლომა პარკი გადააყოლა და რომელიც ხონის კომისიამ ძალით გამოაცვლევინა თქვენს „პატიოსან" გამგეობას. წვრილმანი, მარა დამახასიათებელი ფაქტები: ვიღაცამ პარკის საწონ ყუთში კანტროლების შემდეგ ასე ჩასწერა: აწი აქ ქურდობა არ იქნებაო.

ეს არის, ბ. ლავრენტი, ხალხის ინტერესების დაცვა? თუ მართლა გამგეობა დუქანში ვაჭრობის გასაძლიერებლად ყიდულობს პარკს, რა დროს მოიტანა წელს საქონელი, ხომ შუა პარკობის მერმე? ამასთანავე უფროს ნოქარს ძიძიგურს რად აცდენ და

ქართულ ხელოვნების ისტორიიდან

ბაგრატის ტაძარი

I.

ტაძარი და მისი მნიშვნელობა.

უძველესი და უტურფესია ქუთაისი საქართველოს ქალაქთა შორის[1]; თვალისა და გულის დამატყვევებელია, თვისის საიდუმლო მიდამოებით, მისი უძველესი საისტორიო ნაწილი „უხიმერიონი" ანუ „არქიელის გორაკი"[2]; მაგრამ ყველაზე უფრო ტურფა, გულის წარმტაცი და გონების დამატყვევებელია ამ გორაკის ის ნაწილი, რომელსაც ციხე და ბაგრატის ტაძარი ამშვენებს. თუ შეიძლება ითქვას: „ვისაც ქუთაისი არ უნახავს, მას არც იმერეთი უნახავსო", მით უმეტეს სამართლიანი თქმა იქნება: „ვისაც ბაგრატის ტაძარი არ უნახავს, მას არც ქუთაისი უნახავსო".

ბაგრატის ტაძრის მნიშვნელობა თავდაპირველად, რა თქმა უნდა, მის ხუროთმოძღვრებითს ღირსებაზე, საარქიტექტურო სიმდიდრეზეა დამყარებული: ამ მხრით, როგორც სპეციალისტები მოწმობენ, მას მთელს კავკასიაში ბადალი არ მოეპოვებოდა[3]; მაგრამ, ამასთან ერთად, ბაგრატის ტაძარს ჩვენ—ქართველებისთვის სხვა უდიდესი მნიშვნელობაც აქვს: მისი საფუძვლის ჩაყრა და დამთავრება ისეთს ეპოქას ეკუთვნის, რომლის მსგავსი ხშირათ არ მეორდება ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში.

აფხაზ-იმერთა პირველმა ბაგრატიონმა მეფემ, ბაგრატ მე-III-მ[4], მეათე საუკუნის 80-იან წლებში მემკვიდრეობით მიიღო მისი წინამორბედი მეფეებისაგან (აფხაზ-იმერთა მეფეების: ლეონისა, გიორგი I-ისა, კონსტანტინესი და გიორგი II-ის) ნახევრად განხორციელებული საქმე საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებისა[5], თვით შეიქნა ამ გაერთიანების სრულ უფლებიანი გამომხატველი და ძლავრათ შემოხაზა სრულიად საქართველოს პოლიტიკური საზღვრები, რომელნიც შემდეგი დროის მეფეებმა დაიცვეს, განავრცეს და განამტკიცეს.

ბაგრატ მე-III-ის უახლოეს მემკვიდრეთა შორის ჩვენთვის უფრო საყურადღებო **ბაგრატ მეIV-ეა**[6], რომლის დროსაც საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა სრული კანონიერი დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან, ანუ, როგორც მსოფლიო კანონისტი და პატრიარქი ვალსამონი მოწმობს, შეიქნა „თავისუფალი და ავტოკეფალური"[7].

და, აი, ამ ორი დიდებული მეფის სახელთანაა შეკავშირებული ბაგრატის ტაძრის ისტორია: ბაგრატ მე-III-ს მისი საფუძველი ჩაუყრია, ხოლო ბაგრატ მე-IV-ს იგი დაუმთავრებია და შეუმკვია.

მაგრამ, ვაფასებთ კი ამ შესანიშნავს ნაშთს?

არა თუ არ ვაფასებთ, არც კი ვიცნობთ! და არ ვაფასებთ, უმთავრესათ, მიტომ, რომ არ ვიცნობთ.

ჩვენი წერილის მიზანია, მკითხველს ამ ტაძრის მოკლე ისტორია და გეგმა გავაცნოთ.

II

ტაძრის ისტორია

ქართული კულტურის უუბრწყინვალეს ხანად მე-11—12 საუკუნე ითვლება. ამავე დროს ეკუთვნის ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო პერიოდიც[8]. ამ პერიოდში საქართველო მრავალის მშვენიერი საეკლესიო ძეგლით მოიფინა, რომელთაგან ბევრი ჩვენს დრომდისაც შენახულა, თუმცა უმრავლესობისათვის დროსა და კაცის ხელს განადგურების დაღი დაუსვამს. ამ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის ქუთაისის ტაძარი.

ქუთაისის ტაძრის აგება დაიწყო მეფე ბაგრატ მე III-მ, და 1003 წელს ტაძრის იატაკი უკვე სრულიად იყო მოთავებული. ამას მოწმობს ჩრდილოეთის კედლის ერთ-ერთი ფანჯრის (სამკვეთლოსთან) გარეგანი წარწერა, რომელიც ასე იკითხება:

„ქ. ჯ მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევაო! უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა მათითა დედით, დედოფლით და ძით მათით. ამინ." ხოლო იმავე ფანჯრის მეორე მხრით წარწერის გაგრძელება ამბობს: „ქ. ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223", ე. ი. 1003 წელი ქრ. შემდეგ.[9]

ამ წარწერას მრავალი ევროპელი მეცნიერი მოუყვანია განცვიფრებაში, რადგან აქ არაბული ციფრები გაცილებით უფრო ადრეა ნახმარი, ვინემ სადმე ევროპაში[10]: როგორც ვიცით, დასავლეთ ევროპაში ამ ციფრების ხმარება მე XII საუკუნიდან დაიწყეს, ხოლო რუსეთში პეტრე დიდის დროიდან[11]. სჩანს, ქართველებს ძლიერ ადრე შეუთვისებიათ რიცხვთა გამოხატვის ინდო-არაბული სისტემა. და ეს არც გასაკვირველია, რადგან მე-VII საუკუნიდან თითქმის მე-X საუკუნემდე ქართველები არაბთა მფლობელობაში იმყოფებოდენ და ამ განათლებულის ხალხისაგან მრავალი სასარგებლო ცოდნა შეიძინეს, მაგალითად: მკურნალობა, მათემატიკა, ასტრონომია და სხვანი.

ბაგრატ მე-III-მ ვერ მოასწრო ამ ტაძრის დამთავრება. ეს საქმე წილად ხვდა მის შვილი-შვილს ბაგრატ მე-IV-ეს, რომელმაც ბიზანტიიდან დაიბარა ოსტატები და ხუროთმოძღვრები[12] და ქართველი მუშების მიერ დაწყებული საქმე ბრწყინვალეთ დააგვირგვინა. სამწუხაროთ, არ ვიცით დანამდვილებით, სახელდობრ რომელ წელს დაუმთავრებიათ ეს დიდებული ტაძარი.

ვიცით მხოლოდ, რომ იგი ნაკურთხი იყო ყოვლად წმინდის (ღვთის მშობლის) სახელობაზე და ძველათ გურია-იმერეთის ეპარქიის საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა.[13] იმერეთის მეფეთა გვირგვინის კურთხევაც ამ ტაძარში სწარმოებდა: ქუთათელი ეპისკოპოსი ადგამდა გვირგვინს, როცა მეფე ტახტზე ავიდოდა.[14]

ვიცით, აგრეთვე, რომ ეს ტაძარი იმავე ეპოქაშია აშენებული, რომელსაც კიევის წმ. სოფიოს ტაძრის აშენება ეკუთვნის, და, თუმცა ორივეს ბიზანტიელი ოსტატ-ხუროთმოძღვრები აშენებდენ, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, კიევის ტაძარი სიმშვენიერითა და სიდიდით ძლიერ შორს იდგა ქუთაისის ტაძრისაგან: პირველი უკანასკნელს ვერ შეედრებოდა.[15]

დღეს ეს ტაძარი დანგრეულია: 1691 წელს იგი ოსმალებმა დააქციეს[16], მაგრამ თვით მისი ნანგრევებიც დიდებულ სურათს წარმოადგენს. მნახველს არ შეუძლია გულის ტკივილითა და წყევლა-კრულვით არ მოიგონოს ის ბარბაროსული ხელი, რომელმაც ეს დიდებული შენობა დაასახიჩრა.

ს. გორგაძე

(დასასრული იქნება)

---

[1] ქუთაისს პირველად იხსენიებს აპოლონი როდოსელი (ცხოვრობდა 250—200 წელს ქრ. წინ) თავის „Argonavtica"-ში უწოდებს მას „კიტაის"-ს და მის არსებობას მიაწერს კოლხიდის მეფის აიეტის დროს, ე. ი. 12 საუკუნეს ქრ. დაბადებამდე. იხ. К. Ганъ—Извѣстія греч. и рим. писателей о Кавказѣ ч. I, Тифлисъ, 1884 г., стр. 48.

[2] ამ გორაკს „უხიმერიონს" ეძახის ქრ. შემდეგ მე-6 საუკ. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. Dubois de Montpereux—Voyage autour du Caucase, t. 1, p. 398.

[3] ფრანგის მეცნიერი—მოგზაური, დიუბუა დე მონპერე, რომელმაც ეს ტაძარი წარსული საუკუნის 30-იან წლებში ინახულა და აღწერა, მას ეძახის: „l'un des plus beaux monuments de la Georgie" იხ. მისი „Voyage autour du Caucase"..., ტომი I, პარიზი, 1839 წ., გვ. 412.—ხოლო რუსის მკვლევარი აკადემიკოსი—არქიტექტორი ა. მ. პავლინოვი, რომელმაც ამავე ტაძრის გეგმა ღრმათ შეისწავლა და ყველაზე უკეთ შეიცნო, მას უწოდებს: «Самый богатый памятникъ Кавказской архитектуры». იხ. Матеріалы по археологіи Кавказа..., вып. III, Москва, 1893 г., стр. 30.

[4] მეფობდა 980—1014 წელს.

[5] ლეონ—მეფემ (+ 806 წ.), როგორც გვითით, დაიპყრო მთელი იმერეთი ლი სამეფო და სატახტო ქალაქად ქუთაისი გამოაცხადა 786 წელს.—გიორგი I და კონსტანტინემ (+ 921 წ.) ქართლში განამტკიცეს აფხაზ-იმერთა მეფის მფლობელობა, ხოლო გიორგი მე-II-მ (+ 955) იგივე ქართლი და კახეთიც აფხაზ-იმერთა სამეფოს შეუერთა. იხ. დიმ. ბაქრაძის «ისტორია საქართველოსი», ტფ. 1889 წ., გვ. 274—275. აფხაზ-იმერეთის მეფე თევდოსი მე-II უმემკვიდროთ გადამენდა; ქვემგრდომებმა ხისახტიკისათვის იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მეფედ მიიწვიეს მისი დისწული, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონის გურგენის შვილი, ბაგრატი, რომელიც აფხაზეთში იწყებს ახალ—ბაგრატიონთა დინასტიას. აქ იგი გამეფდა 980 წელს, ხოლო ქართლში 985 წელს. იხ. იქვე, გვ. 275.

[6] მეფობდა 1027—1072 წელს.

[7] საქართველოს ეკლესიამ, როგორც ვიცით, თავისუფლების სამი ხარისხი გაიარა: ვახტანგ I-ელის დროს მე-V საუკუნეში მან **კათალიკოზი** მოიპოვა; მე-VIII საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს მიიღო უფლება კათალიკოზის **ადგილობრივ არჩევისა და კურთხევისა**, ხოლო მე-XI საუკუნეში, ვალსამონის მოწმობით, ანტიოქიის პატრიარქის პეტრე მე-III-ის დროს (1053—1057 წ.), იგი შეიქნა სრულიად თავისუფალი. იხ. „Правила святыхъ вселенскихъ соборовъ съ толкованіями Зонары, Аристина и Вальсамона)", т. I, изд. Московск. о-ва любителей духовн. просвѣщенія, Москва, 1877 г., стр. 86 შეადარეთ მღვდ. კალ. ცინცაძის გამოკვლევა „Автокефалія церкви грузинской. Тифл., 1905 г.; აგრეთვე ჩვენი საისტორიო წერილი: Къ вопросу объ автокефаліи Грузинской церкви", ჟურნალი „Кавказскій край" იმავე 1905 წლისა N N 4 და 7.

[8] ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის დაყოფა პერიოდებად იხ. ნ. პ. კონდაკოვის „Древняя архитектура Грузіи", Москва, 1876 г., стр. 58—59.

[9] ამ წარწერის ქორონიკონი „223" არაბული ციფრებითაა წარწერილი, დანარჩენი ტექსტი კი ლამაზი ასომთავრული ხუცურია. ამ წარწერის ტექსტი გადმოგვცა მღვდელმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა, რომელსაც იგი იმერეთ-სვანეთში მოგზაურობის დროს გადმოუწერია ტაძრის კედლიდან, ქარაგმებითა და ორიგინალის მართლწერით. ჩვენ აქ ქარაგმები გავხსენით და არც ძველი მართლწერა დავიცავს.—უგულითადეს მადლობას ვწირავთ მ. კარბელაშვილს აღნიშნული დავალებისათვის.

[10] Dubois de Montpéreux -Voyage autour du Caucase.., ნაწ. I, გვ 418.

[11] შეად. ბროკგაუზ-ეფრონის პატარა ენციკლოპედიური ლექსიკონი, ნაწ. IV, გვ. 1997, სიტყვა „Цифры", Спб. 1909 г.

[12] ბაგრატის მიერ ოსტატების მოწვევა ბიზანტიიდან, ბროსეს ანგარიშით, 1032 ან 1033 წელს უნდა მომხდარიყო, რადგან ჩვენი ისტორია ამ ფაქტს საბერძნეთიდან ელენე დედოფლის მოყვანასთან აკავშირებს, ხოლო ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III-ის ძმისწული ელენე ბაგრატმა ცოლად 1032—1033 წელს მოიყვანა. ს. Histoire de la Géorgie ნაწ. I, გვ. 315, შენიშვნა 2.

[13] ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „აქ აღაშენა 63 მეფემან ბაგრატ ყოვლად-წმიდისა ეკლესია შვენიერი...; დასვა ეპისკოპოსი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა, თვინიერ რაჭა-ლეჩხუმისა. ხის აწვა და არღარა „მცხენითა სამწყსოთი" იხ. მისი „საქართველოს გეოგრაფია", ტფილისი, 1904 წ., გვ. 280.

[14] დიმ. ბაქრაძე „Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства", стр. 86.

[15] Dubois de Montpéreux, loc. cit., p. 419.

[16] მამასადამე წელს (1911 წ.) 220 წელი სრულდება, რაც ეს ტაძარი დანგრეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხმარებთ პარკის ვაჭრობის დროს? ან იქნებ ისიც ამხანაგად გყავთ? კარგია, თქვენ ნუ მომიკვდებით: გამგეობა ვაჭრობას ძლიერებს, დუქანი კი გამოკეტილია და კვიტანციების თუ ფულის რიგებაში მუშტარი გაჩერებულია! არა, ბ. ჩიმაკაძევ, აქ დუქნის ინტერესები კი არა, თქვენივე ჯიბისაა.

ბ. ლავრენტი ჰფიცავს,—ჩვენ დუქანს სახელს არ ვუტეხთ და არც გვინდა მისი სავაჭროდ გადაქცევაო. ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს. ჯერ ყველა დაგვეთანხმება, რომ ზევით მოყვანილი სამი უდიდესი საბუთი დუქანს ხალხში სახელს უტეხს და გულს აცრუებინებს, ხოლო თუ ეს არ კმარა, კიდევ ინებეთ: 1) წლის გამგეობის წევრმა ბ. ილ. მელაძემ და თავმჯდომარემ ბ. ლავრენტი ჩიმაკაძემ გასასყიდად მიიტანეს იოსებ კაკაბაძის ყოვლად უვარგისი აბრეშუმის თესლი. რაკი თესლი პირადათ მათი საკუთრება იყო, თავიანთ სახლებში უნდა გაეყიდნათ; მათ კი თესლი დუქანში დააწყვეს და ისე ჰყიდდნენ. ხალხი დუქანს ენდო—საზოგადო დაწესებულებაა და არ გვიღალატებსო. მაგრამ თესლმა არსად არ იხეირა და ხალხაც კბილებს ილესავს—დუქნის სახელით მოგვატყუესო. 2) ილარიონ მელაძემ ბოქაულის გამოგზავნილ კაცს უთხრა: ჩვენ საზოგადო დუქნისათვის ვყიდით პარკსო და ამავე დროს უვარგისი სასწორი ედგა; 3) წევრები თან და თან ეცლება დუქანს, გამგეობა არაფერ ღონეს არ ხმარობს მათ შესაჩერებლად, პირიქით სიხარულით უბრუნებს უკან წლის ფულს და მუქარით ეუბნება: ხუთ კაცს რომ დარჩეს ეს დუქანი, მაინც არაფერი გვიჭირსო. 4) წლის ბოლოს დუქნის ანგარიშები წინ და წინ არ ქვეყნდება—ან უნდა იწერებოდეს, ან იბეჭდებოდეს, როგორც ეს წესადაა ყველა დაწესებულებებში, რათა კრებამდე შეეძლოს ხალხს მისი გაცნობა. აქნაირად ყველაფერი ბურუსშია და გამგეობის დავთრებში მხოლოდ გამგეობა თუ გაიკვლევს გზას; დუქანში სინათლე არაა, რომ ყველას შეეძლოს მისი მდგომარეობის ნათლად გათვალისწინება. 5) ნოქრები უდიერად ექცევიან მუშტრებს.

ბ. ჩიმაკაძე მიპასუხებს: დუქანს განყოფილება ჰქონდა, მაგრამ ვერ იარსება, ზარალს გვაძლევდაო. ზარალს გაძლევდათ იმისათვის, რომ მის გვერდით მოვაჭრენი თქვენზე იაფად ჰყიდდნენ საქონელს, თუ ქრისტიანულად გეწარმოებინათ ვაჭრობა, როგორც „ზევით კუთხეში", ისე ბარაბაძევში განყოფილება მშვენივრად იარსებებდა. მაგრამ დუქანმა ჩარჩობა დაიწყო და წევრებიც ვერ შეიძინა.

ბ. ჩიმაკაძე უკანვე მიბრუნებს იმ სიტყვებს, რომლითაც მე იმის ამაგს ვაფასებდი. რაც კარგი გიქნიათ, ბატონო, იმას ვინ წაგართმევთ, ხოლო თუ იმ ძროხასავით მოიქცევით, რომელმაც მთელი ნაწველი ერთად დააქცია, მაშინ ამასაც დავიხსომებთ.

დასასრულ ახალ ძალების დახმარებაზე. თქვენ ბ. ჩიმაკაძევ მათხოჯში მარტო თქვენს თავსა ჰხედავთ და ილარიონ მელაძეს ახალ ძალებს კი ალმაცერად უცქერით. ვსთქვათ თქვენ არა ჰყევხართ მათ, რა მოუვა დუქანს? ამდენი ხანია იგი არსებობს და განა არ შეიძლებოდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ხალხის თვით მოქმედება ისე გაგევითარებინათ, რომ ამ დუქანს გაძღოლნი ჰყოლოდა? ჩვენში ბლომათ არიან ნასწავლნი, მაგრამ ისინი სამსახურის გამო სხვაგან არიან. ხოლო ზაფხულობით არიან სოფლად. თქვენც შეგეძლოთ მათთვის დუქნის მდგომარეობა გაგეთვალისწინებინათ და ყველა სიამოვნებით დაგეხმარებოდათ. მოიწოდეთ ახალი ძალები, გააცანით ყველას დუქნის ღირსება, თუ ნაკლი და, გარწმუნებთ, ბევრი გამოჩნდება მუშაც და მასწავლებელიც, რომ დუქანს გააცოცხლებენ და ხალხს ისევ შეაყვარებენ. მასთან უნდა იცოდეთ, რომ თქვენებურად დუქნის წარმოება ძირითადად უნდა შეიცვალოს. დუქნის ნაკლი მათხოჯში ჯერ არავისათვის არ გაგიმხელიათ, ახლა კი ჩვენი წერილის შემდეგ იძახით, ქვეყანას გავაცნობთო. ია და ვარდი სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ეს წერილი მზად მქონდა, როცა გამოაშკარავდა ერთი ფრიად საინტერესო გარემოება, რომელიც ნათლად ახასიათებს ჩვენი დუქნის მესვეურთა ფიზიონომიას. ვეცდები ამ მოკლე დროში ამ გარემოების დაწვრილებით და განმარტებით გამოქვეყნებას.

მათხოჯელი.

თეატრი და ხელოვნება

სახაზინო თეატრი. ი. პ. ფოლიაშვილის შუამდგომლობის თანახმად, თეატრის დირექტორმა თამამშევმა წლევანდელს სეზონში, როგორც ჩვეულებრივს, ისე იაფფასიან წარმოდგენებზე შესასვლელ ფასს დაუკლო (550 ადგილზე მეტს).

ქ-ნი ნ. ზ. დავითაშვილი მომავალ სეზონში ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მოიწვია. ქ. დავითაშვილი ტფილისში უკვე ჩამოვიდა.

ქ. სოხუმი. შაბათს, 10 სექტემბერს, ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების განყოფილების სკოლის სასარგებლოდ კონცერტი გაიმართება, რომელშიაც სხვათა შორის ბ. ვ. სარაჯიშვილი დ. ი. გრიშაშვილი მიიღებენ მონაწილეობას.

წერილი რედ. მიმართ

ბ რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადო შემდეგ პირებს: 1) ეკატერინე პეტრეს ასულს ქ. მაჭავარიანისას, რომელმაც კეთილ ინება და ქართული ტანისამოსი (ქულაჯები) 26 ხელი ძალიან იაფად (სხვასთან შედარებით) შეგვიკერა, 2) შუაბაზარში მოვაჭრე ძმ. ჯავახიშვილებს, რომელთაც აგრეთვე იაფად დაგვითმეს საჭირო საქონელი ქულაჯებისთვის და 3) ო. ნიკოლოზ სუმბათაშვილს, რომელთაც ერთი ხავერდის ქულაჯა შემოსწირეს ჩემს მიერ დაარსებულ გუნდს.

გუნდის მონდობილობით ლოტბარი **მიხეილ კავსაძე.**

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ფ. მ. ჩაქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტახიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. ავახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმანი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. გ. გელეხკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ფ. გარცმენცკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—125)

მუხრანის ქარქო
სამკურნალო
გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელის 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახმახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეთრუგ-ბეგიანი—(მედ. ექ.) თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ბ. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამქაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიანი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. —6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს. ს ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით. დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმებისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ბ. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50 (0—103—136

საბუღალტერო კურსები
გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.
ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს
სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.9)

გამოცდილი
მასწავლებელი
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩანისთვის. ლებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—21)

ვურჩევთ
ბრინჯის ჰიგიენურ პუდრთა მეფეს
La Reine des poudres
სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).
—◀ 1900 წ. პარიზის ოქროს მედალი ▶—
პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.
„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".
ХИМИЧЕСКАЯ С.ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРIЯ
მთავარი საწყობი:
ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
(11—1295—4)

1865
1870
1882
1896
ТОВАР. С.ПЕТЕРБУРГЪ ТРЕУГОЛЬНИКЪ
ГАЛОШИ ТРЕУГОЛЬНИКЪ

(40—1466—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
საყოველთაოდ აცხადებს, რომ სამშაბათს, 6 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, გამგეობის საკრებულოში
იჯარით გაიცემა
ქალაქის სათიბი, სახნავი და საბალახე 1) ავლაბარსა და 2) ნავთლუღში მდებარე მიწებისა.
პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე (კვირა-უქმის გარდა) გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში (საიჯარო მაგიდასთან).
(3—1416—2)

„სორაპანის" — ამხ. გამოცემანი —
ქართველი მწერლები
ნაწილი I, ფასი 80 კ. (ყდით).
შედგენილი ივ. გომელაურის მიერ და ნაწ. II, ფასი 1 მ. 45 კ. (ყდით). შეძ. მისგანვე. იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. წიგნის გამყიდველებს დაეთმობათ ჩვეულებრივ პროცე. ამ სახელმძღვანელო წიგნების გამოწერა შეიძლება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიიდანაც, რომელზედაც მაღაზია დაუკლებს იმდენსავე %, რამდენსაც თავის წიგნს უკლებს. ვისაც სურს წიგნის პირდაპირ გამოწერა, უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, типографія «Сорапань». (10—1450—9)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა:	წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ... ფ. 75 კ.
" " "	წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . ფ. 80 კ.
Bâton-ისა:	„ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.
მ. ყიფიანისა:	«სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა:	«მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

წიგნის გამომცემლობა
კულტურა
პირველ ოქტომბრამდე 1911 წლ. მიიღება ხელის მოწერა სამ ორიგინალურ, ჯერ დაუბეჭდავ, წიგნზედ:

1) „შოთა ბრძოლიძე" რომანი თანამედროვე ცხოვრებიდან 300 გვერ. ვ. მალაქიაშვილისა.

2) „ისტორიული მატერიალიზმი" მეცნიერული შრომა ნ. რ—ლის ნ. ჟორდანიას წინასიტყვაობით, 220 გვ.

3) „ერი თუ კაცობრიობა?" პუბლიცისტური ნაწარმოები ბატ. ა. ჩ—კელის Bâton-ის წიგნის გამო 120 გვ.

სამივე წიგნი დაიბეჭდება კარგს ქაღალდზედ და უთუოდ დაურიგდება ხელის მომწერთ ოქტომბრის 30-ს.

მთელი გამოცემა ხელის მომწერთათვის ეღირება 1 მან. 20 კ.

ხელის მოწერა შეიძლება ცალკ-ცალკეც: პირველი წიგნი 65. მეორე 45, მესამე 25. დაბეჭდვის შემდეგ: 90—60—30 კაპ.

ხელის მოწერისთანავე სავალდებულოა 20 კ. შემოტანა, დანარჩენი წიგნის ჩაბარებისას.

ადრესი: ქ. ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 5, ვორონცოვის ძეგლთან. სტამბა „ნადეჟდა", გ. თავართქილაძე.

P. S. ვინც ისურვებს მიიღოს წიგნები კარგი კალენკორის ყდით, ოქროს ასოების წარწერით, იმან ეხლავე უნდა შემოიტანოს: თუ სამივე ერთად 40 კაპ., თუ ცალკე, 35 კაპ. თითოზე. (6—1486—2.)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა,
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 976).
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.
კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და პიგიერის (პარიზში), მუსტერ-ლომტორიში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ.: 1. ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3. და ტიპოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.
კურსების დამაარსებელი საკომერციო მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ფილოიანი.
(1—1444—1)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრაამიანის
საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წ.)
ავტორი „ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.
ორივე სქესისათვის კურსი 4 თვისაა ყოველდღიური მეცადინეობით.
სწავლა იწყება 15 ენკენისთვიდან. კურსებზე მეცადინეობენ ბუღალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, დამოკიდებული ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დასახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. კორესპონდენცია, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, კალიგრაფია, ხელის გასწორება. მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრაფია და რემინგტონი.
მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ საგანში ცალკე მომზადებულნი.
ატესტატებ სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5-დან 7 საათამდე.
ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსული ენისა და ანგარიშისა.
წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამარსებელს:
ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 447
(2—1445—2)

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მაღაზია ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
გირ. უდავებოთ 25 კაპ.
მიგიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე.
(წ—1052—)

სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.